

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №356
2013 წლის 23 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„საგადასახადო კონტროლის განმახორციელებელი პირის შერჩევისა და საგადასახადო კონტროლის განხორციელების, მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„საგადასახადო კონტროლის განმახორციელებელი პირის შერჩევისა და საგადასახადო კონტროლის განხორციელების, მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებით (სსმ, 172, 31.12.2010, 200090000.22.033.016105) დამტკიცებული წესის 55² მუხლს დაემატოს მე-5 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„5. „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის 11² პუნქტის შესაბამისად, ქონების ნატურით სახელმწიფოს, როგორც კრედიტორისათვის საკუთრებაში გადაცემის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანო ახორციელებს გადასახადის გადამხდელის დავალიანების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ამ წესის 55¹ მუხლით განსაზღვრული რიგითობით ჩამოწერას ამ ქონების საბაზრო ღირებულების ოდენობით, ქონების ნატურით სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემის შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღით.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

ფინანსთა მინისტრი

ნოდარ ხადური

